

შპს „ჟამური“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოში ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციაში. 14.12.2010წ, ს/ნ 404881678 კომპანიის იურიდიული საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, მარშალ გელოვანის გამზ., № 2, სარდაფი, კომპანიის 100%- იანი წილის მფლობელია ზურაბ მილაძე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი პ/ნ 24001001515. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ავტომანქანის სამალიარო საშუალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

2.1. ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.2. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.3. მოგების გადასახადი აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე-არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან, რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან, ვიდრე არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით.

მოგების გადასახადი გაიანგარიშება მუდმივი სხვაობით კორექტირებული სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით. სააღრიცხვო მოგების გადასახადსა და საგადასახადო მოგებას შორის სხვაობა, რომელიც განპირობებულია სააღრიცხვო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი სხვაობებით, აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

2.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.5. არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.6. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ანალოგიური ერთეულების ჯგუფი)

გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.7. იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.11. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საბანკო სესხები საწარმოს არ უფიქსირდება.

2.12. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

2.12.1 ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლობები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ;

2.12.2. შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთის შესაბამისად;

2.12.3. შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვრება 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი -30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 3		
ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული სალაროში	261181	381819
ფული საბანკო ანგარიშებზე	1061215	476440
სულ ჯამი	1322396	858259

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ექვივალენტები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 4		
სავაჭრო მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	569390	1833163
სულ ჯამი	569390	1833163

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 5		
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		
	31.12.2022	31.12.2021
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	181792	306,234
წინასწარ განაწილებული ხარჯები	72132	34,557
გადახდილი ღირებულება	409839	435850
სულ ჯამი	663763	776642

6. მარაგები

მარაგების ნაშთები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 6		
მარაგები		
	31.12.2022	31.12.2021
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	5661627	4948020
სულ ჯამი	5661627	4948020

7. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 7		
სხვა ვალდებულებები		
	31.12.2022	31.12.2021
გადახდილი ღირებულება		
გადახდილი აქტივი	0	-19630
სულ ჯამი	0	-19630

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 8		
სხვა არამატერიალური აქტივები	31.12.2022	31.12.2021
არამატერიალური აქტივები	4535	7211
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-1081	-2677
სულ ჯამი	3454	4535

შენიშვნა 9

.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2021	2022	2022	31.12.2022
ძირითადი საშუალებები	ძირ.საშ.საბალანსო ღირებულება	დარიცხული ცვეთა	დამატებული ძირ.საშ	ძირ.საშ.საბალანსო ღირებულება
არასასოფლო მიწა	920168	0	0	920168
დამთავრებული მშენებლობა			39680	39680
შენობები	474771	5144	413	470040
ნაგებობები	63063	6029		57034
მანქანა-დანადგარები	20567	1829	640	19378
ოფისის ტექნიკური აღჭურვილობა	14159	564	2460	16055
ავიჯი, ინვენტარი, იარაღები	5158	4516	10996	11638
სატრანსპორტო საშუალებები	214723	33100	32065	213688
იხარით აღებული ქონების კაპიტალიზაცია	0	0	33280	33280
სულ ჯამი	1712610	51182	119535	1780962

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 10		
სავაჭრო ვალდებულებები		
	31.12.2022	31.12.2021
რეზიდენტი მომ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	27911	7060
არარეზიდენტი მომს. და მომს. წარმოქმნილი ვალდებულებები	70851	99114
მიღებული ავანსები	45353	17
სულ ჯამი	144,115	106,190

11. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები .

ვალდებულებების და ხარჯები ს ანარიცხები 31.12.2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3537304 ლარი აღრიცხულია როგორც გასანაწილებელი მოგება. 2019 წელს დაემატა 2018-2019-2020-2021 წლის გასანაწილებელი მოგება. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 11

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	31.12.2022	31.12.2021
გადასახდელი პროცენტები	0.00	0.00
გადასახდელი დივიდენდები	6123285	6419834
სულ ჯამი	6123285	6419834

12. სხვა ვალდებულებები.

სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 12		
სხვა ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021
გადავადებული მოგების გადასახადი	20,710	26,181
სულ ჯამი	20710	26181

13. კაპიტალი

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 2010 წლის 14 დეკემბერს, საწესდებო კაპიტალით 865000 (რვაას სამოცდახუთი ათასი) ლარი, ხოლო 2012 წლის თებერვლის თვის გადაწყვეტილებით განისაზღვრა შემცირება 170000 (ას სამოცდაათ ათასი) ლარამდე.

კომპანიის კაპიტალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 13		
შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი'		
	31.12.2022	31.12.2021
სანესდებო კაპიტალი შპს-ში	170,000	170,000
სულ ჯამი	170000	170000

14. გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 14

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	31.12.2022	31.12.2021
მოგება/ ზარალი		
გაუნაწილებელი მოგება	0	3,408,824
დაუფარავი ზარალი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	3,501,715	3,028,602
სულ ჯამი	3501715	6437436

15. სხვა რეზერვები და დაფინანსება

სხვა რეზერვები და დაფინანსება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 15		
სხვა რეზერვები და დაფინანსება		
	31.12.2022	31.12.2021
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	41767	2200
სულ ჯამი	41767	2200

16. საოპერაციო შემოსავლები

საოპერაციო შემოსავლები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 16		
საოპერაციო შემოსავლები	31.12.2022	31.12.2021
შემოსავლები სამონღის რეალიზაციიდან	18695709	16637108
სულ ჯამი	18695709	16637108

17. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავალი	31.12.2022	31.12.2021
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1070	24309
სულ ჯამი	1070	24309

18. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 18		
დასაქმებულთა ანაზღაურება		
	31.12.2022	31.12.2021
შრომის ანაზღაურება	378894	273085

19. ცვეთა-ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 19		
ცვეთა და ამორტიზაცია	31.12.2022	31.12.2021
ცვეთა და ამორტიზაცია	52263	53575
სულ ჯამი	52263	53575

20. საპროცენტი ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 20		
	31.12.2022	31.12.2021
საპროცენტო ხარჯები	0	365
სულ ჯამი	0	365

21. საიჯარო ქირა

საიჯარო ქირის ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 21		
იჯარის ხარჯი		
	31.12.2022	31.12.2021
საიჯარო ქირა	10000	0

22 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 22		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	31.12.2022	31.12.2021
რეალიზ.პროდ.თვითღ.(პრ.მწ.და მომს.სფ.საწ.	13938338	13191839
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	114328	70660
კომუნალური ხარჯი	12844	10247
საოფისე ხარჯი	11489	6166
კომუნიკაციის ხარჯი	3043	1924
სამიწვინებო ხარჯი	23825	16580
ბანკის მომსახურების ხარჯები	91518	8693
სხვა საგადასახადო ხარჯი	7704	16929
ძირითადი საშ.მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	14502	13117
საქონლულტაციო ხარჯები	2354	946
სხვა საერთო ხარჯი	1054	3277
სულ ჯამი	14220998	13340379

23. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 23		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
	31.12.2022	31.12.2021
დადებითი საკურსო სხვაობა	379786	187294
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-295596	-203580
სულ ჯამი	84190	-16285

24. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 24		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	31.12.2022	31.12.2021
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	86660	115115
განსაკუთრებული შემოსავლები	0	7684
დანაკლისი	-1264	-24384
საქონლის მიწოდება ანაზღაურების გარეშე	-16965	-12042
აყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	-39645	
სულ ჯამი	-56610	50875

25. მოგების გადასახადი

2021 წელს მოგების გადასახადი არ იყო შენიშვნის სახით გამოყოფილი და შესული იყო შენიშვნა 24,-ში -სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი). 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 25		
მოგების გადასახადი	-650104	-35497

26. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება

27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2023 წლის 22 სექტემბერს.

შპს ჟამურის დირექტორი:



ზურაბ მილაძე

შპს "ქამური"

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2022	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	1322396	858,259
სავაჭრო მოთხოვნები	6	569390	1833163
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	7	181792	306234
მარაგები	8	5661627	4948021
- მზა პროდუქცია			-
- სხვა		5661627	4948020
საინვესტიციო ქონება			-
სხვა მიმდინარე აქტივები	9	481971	470408
ბიოლოგიური აქტივები			-
- თვითღირებულების მოდელით			-
- გადაფასების მოდელით			-
გუდვილი			-
სხვა არამატერიალური აქტივები	10	3454	4,535
ძირითადი საშუალებები	11	1780962	1,712,610
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			-
სხვა გრძელვადიანი აქტივები			-
სულ აქტივები		10,001,592	10,133,229

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება			-
სავაჭრო ვალდებულებები	12	144,115	106,190
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		6123285	6419824
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	13		-
საგადასახადო ვალდებულებები			-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	14		-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	15		-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			-
მიღებული გრანტები			-
სხვა ვალდებულებები		20710	26,181
სულ ვალდებულებები		6,288,110	6,552,195

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	16	170,000	170,000
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	17	3,501,715	3,408,834
გადაფასების რეზერვი		41,767	2,200
სხვა რეზერვები	18		-

სულ საკუთარი კაპიტალი		3,713,482	3,581,034
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10,001,592	10,133,229

შპს ქაბურის დირექტორი:

ზურაბ მილაძე



ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

		საანგარიშგებო პერიოდი 2022	საანგარიშგებო პერიოდი 2021
ნეტო ამონაგები		18,695,709	16,637,108
საქონლის გაყიდვიდან	19	18,695,709	16,637,108
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(13,938,338)	(13,191,839)
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		4,757,371	3,445,269
სხვა შემოსავალი	20	1,070	24,309
დასაქმებულთა ანაზღაურება	21	(378,894)	(273,086)
ცვეთა და ამორტიზაცია	22	(52,263)	(53,575)
საპროცენტო შემოსავალი:		4218	
საპროცენტო ხარჯი :	23	-	(365)
იჯარის ხარჯი	24	(10,000)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	25	(282,660)	(148,540)
სულ საოპერაციო ხარჯები		(718,529)	(451,257)
საოპერაციო მოგება		4,038,842	2,994,012

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები		-	-
მარაგები		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		84,190	(16,285)
მიღებული დივიდენდები	26	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(56,610)	50,875
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	27	4,066,423	3,028,602
მოგების გადასახადი		(650,104)	-
მოგება/(ზარალი)		3416318	3028602

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		39567	-
სხვა		0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		39,567	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		3,455,885	3,028,602

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		3,581,034	2,184,011
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-3705263	(1,631,579)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		381,826	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3,713,482	3,581,034

შპს ქამურის დირექტორი:

ზურაბ მილაძე



ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა		საანგარიშგებო პერიოდი 2022	საანგარიშგებო პერიოდი 2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		480533	279397
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		480533	279397
სავალუტო კურსის ეფექტი		-16396	-51717
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		858259	630579
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1322396	858259

შპს ქამურის დირექტორი:

ზურაბ მილაძე

